სსიპ ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო

ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის მიერ

2023 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში:

**31 დეკემბერი 2022 წელი**

საზოგადოებრივი მაუწყებელი საახალწლო გადაცემა "ამ შაბათ კვირას".
მონაწილეობენ სასწავლებლის სწავლების 1 წლის და მოსამზადებელი ჯგუფის 1 და 2 კლასის მოსწავლეები.

**14 იანვარი 2023 წელი**

ტელე - იმედის ეთერში "ცეკვავენ ვარსკვლავები" ფინალი! ოთო და ვანესა! აგრეთვე ვ.ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის მოსწავლეები! საუკეთესო ნომერი და საუკეთესო შესრულება!
მონაწილეობდნენ სასწავლებლის სწავლების მე-12 კლასის მოსწავლეები.

**10,11,12,13,14,15 იანვარი 2023 წელი**

თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი.
ბალეტი "პინოკიო"
მონაწილეობდნენ სასწავლებლის სწავლების მე-II, III, VI, VII, VIII კლასის მოსწავლეები.

**20, 21, 22, 24, 25, 26, 27, 28, 29 იანვარი 2023 წელი**

თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი.
ბალეტი "მაკნატუნა"
მონაწილეობდნენ სასწავლებლის სწავლების მე-VII, VIII კლასის მოსწავლეები.

**10 თებერვალი 2023 წელი**

სასწავლებელში ჩატარდა მასტერკლასი თანამედროვე და სახასიათო ცეკვების მიმართულებით — "კლასიკური ცეკვის ელემენტები თანამედროვე ცეკვაში".
მონაწილეობდნენ სასწავლებლის სწავლების მე-VI, VII კლასის მოსწავლეები.

**15 თებერვალი 2023 წელი**

შემეცნებითი ღონისძიება:
სასწავლებლის მოსწავლეები და პედაგოგი ეწვივნენ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, სადაც გაეცნენ წიგნების უძველეს ნიმუშებს, დაათვალიერეს ვახტანგ VI -ის მიერ დაარსებულ სტამბაში გამოცემული სახარება და ვეფხისტყაოსანი ,აგრეთვე ყველა ენაზე ნათარგმნი და გამოცემული ვეფხისტყაოსნის ნიმუშები. მოინახულეს ილია ჭავჭავაძის თაოსნობით გამოცემული პუბლიკაციები და მისი პირადი ბიბლიოთეკა, გარდა ამისა ფრანგული და გერმანული მედიათეკები.
მონაწილეობდნენ: სწავლების მე-VI წლის მოსწავლეები.

**24, 25, 26, 28 თებერვალი 2023 წელი**

თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი.
ბალეტი "დონ კიხოტი"
მონაწილეობდნენ:
სასწავლებლის სწავლების მე- 2, 3, 6, 7, 8 წლის მოსწავლეები.

**27 თებერვალი 2023 წელი**

ვახტანგ ჭაბუკიანის დაბადების 113 წლისთავთან დაკავშირებით, სასწავლებლის მოსწავლეები და პედაგოგები ეწვივნენ მთაწმინდის პანთეონს და პატივი მიაგეს დიდი მოცეკვავისა და ქორეოგრაფის ხსოვნას.

**27 თებერვალი 2023 წელი**



ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელი.

ვახტანგ ჭაბუკიანის დაბადების 113 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება "საუკუნის დებიუტი".
მონაწილეობდნენ:
სასწავლებლის სწავლების მე- 7 წლის მოსწავლეები.

**16, 17, 18, 19 მარტი 2023 წელი**

თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი.
პიოტრ ჩაიკოვსკი — "გედების ტბა" ბალეტი ორ მოქმედებათ.
მონაწილეობდნენ:
სასწავლებლის სწავლების მე- VI, VII, VIII წლის მოსწავლეები.

**16-22 მარტი 2023 წელი**



ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის მოსწავლეებმა, იტალიის ქალაქ ლეჩეში DOMENICO MODUGNO სახელობის საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე

( საერთო მონაწილეთა რაოდენობა 250 ადამიანს აჭარბებდა)  დიდი წარმატებით იასპარეზეს! კლასიკურ ვარიაციებში პირველი ადგილი და ოქროს მედალი დაიმსახურა- ნიკოლოზ ფოცხიშვილმა,მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი -მარი ყულიჯანიშვილმა, გრან-პრი -საუკეთესო მოცეკვავე გოგო - მარი ყულიჯანიშვილმა, თანამედროვე ცეკვაში პირველი ადგილი და ოქროს მედალი დაიმსახურა მარი ყულიჯანიშვილმა და მაშო ჯოჯუამ! ასევე ჯგუფურ ცეკვაში განდაგანა: ა.დათუნაშვილი, ს.იარაჯული,მ.გულიტაშვილი, თ.გრიგოლაშვილი- პირველი ადგილი და ოქროს მედალი, ლეზგინკა- ნ. ფოცხიშვილი, მ.მირიანაშვილი პირველი ადგილი და ოქროს მედლი, ორეულები კლასიკურ ვარიაციებში პირველი ადგილი და ოქროს მედალი -ა.გორგიშელი, ს.იზორია,მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი - თ.კაკაშვილი, ნ.სირბილაძე,მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი -ნ.თაბაგარი, ნ.თავდგირიძე. კლასიკურ ვარიაციებში საუკეთესო ათეულში შევიდნენ: ს.იარაჯული ა.დათუნაშვილი,მ. გულიტაშვილი, ნ.თაბაგარი, თ.გრიგოლაშვილი, მ.მირიანაშვილი, ნ.თავდგირიძე , ა.გორგიშელი.

განსაკუთრებით გვინდა ავღნიშნოთ, რომ კონკურსში მონაწილე სხვადასხვა ქვეყნების ( იტალია, ტაივანი, პერუ, ავსტრალია, სლოვენია, საბერძნეთი, პორტუგალია, უნგრეთი, მექსიკა, სამხრეთ კორეა, ბულგარეთი, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, ინდოეთი, ესპანეთი, ჰონდურასი, რუმინეთი, მალაიზია, იაპონია, ლიტვა, საქართველო, აშშ, პოლონეთი, ტაილანდი, ეგვიპტე, კვიპროსი, ჩეხეთი და სხვა) საბალეტო სასწავლებლებს შორის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელმა მოიპოვა საუკეთესო საბალეტო სკოლის ტიტული და გადაეცა ჯილდო ,,საუკეთესო საბალეტო სკოლა."

**24 მარტი 2023 წელი**

ბალეტის მოყვარულთა საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ კლასიკური ცეკვის გაკვეთილს.
მონაწილეობდნენ:
მოსამზადებელი ჯგუფის მე-IV კლასის მოსწავლეები.

**27 მარტი 2023 წელი**

ვახტაგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის მოსწავლეები იმყოფებოდნენ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, ფრანკოფონიის თვის ფარგლებში, ფრანგული ინსტიტუტისა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, გამართულ თანამედროვე ცეკვის მკვლევრის, ხათუნა მზარელუას საჯარო ლექციაზე.

ლექციის ფარგლებში, ნაჩვენები იქნა ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფრანგი ქორეოგრაფის, ანჟელენ პრელჟოკაჟის ბალეტი - "ფრესკა". საღამოს პირველ ნაწილში - ოდა ფრანგულ ბალეტს, თანამედროვე ცეკვის მკვლევარმა ისაუბრა სამი ისტორიული ბალეტის შესახებ: „ცისფერი მატარებელი“ (1924), „ბოლერო“ (1961, მორის ბეჟარის ვერსია) და „ღამის გადალახვა“ (2018). მეორე ნაწილი კი დაუთმო ქორეოგრაფ ანჟელენ პრელჟოკაჟს. ხათუნა მზარელუამ წარმოადგინა ასევე თავისი პირველი წიგნი ცეკვაზე – „კაფე მიულერში“, რომელიც გამოიცა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მთავარი ფინანსური მხარდაჭერით".

**1 აპრილი 2023 წელი**



შერატონ მეტეხი პალასი.

საქართველოს ამერიკელი მეგობრები, საგაზაფხულო საქველმოქმედო გალა, აუქციონი.
მონაწილეობდნენ სასწავლებლის სწავლების მე-8 წლის მოსწავლეები და მოსამზადებელი ჯგუფების 1 და მე-4 კლასის მოსწავლეები.

**7 აპრილი 2023 წელი**

სასწავლებელში ჩატარდა საჩვენებელი გაკვეთილი წყვილთა ცეკვაში.
მონაწილეობდნენ სასწავლებლის სწავლების მე-8 წლის მოსწავლეები.

**10 აპრილი 2023 წელი**

სასწავლებელში ჩატარდა მასტერკლასი თანამედროვე ცეკვაში.
მონაწილეობდნენ მოსამზადებელი ჯგუფის მე-3 და მე-4 კლასის მოსწავლეები.

**19 აპრილი 2023 წელი**

სასწავლებელში ჩატარდა მასტერკლასი სუნთქვასა და გაწელვაში.
მონაწილეობდნენ სასწავლებლის სწავლების I და II წლის მოსწავლეები.

**26 აპრილი 2023 წელი**

სასწავლებელში ჩატარდება კულტურული ღონისძიება - "ბალეტი მხატვრობაში", სადაც მონაწილეობდნენ სამხატვრო სკოლის და სასწავლებლის მოსწავლეები.
მონაწილეობდნენ სასწავლებლის სწავლების V წლის მოსწავლეები.

**9 მაისი 2023 წელი**

თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზი (ფილარმონია). კომპოზიტორ ვაჟა დურგლიშვილის საიუბილეო საღამო.
მონაწილეობდნენ სწავლების VII, VIII წლის მოსწავლეები.

**4-10 მაისი 2023 წელი**

ალექსი მაჭავარიანის სახელობის საიუბილეო ფესტივალი.
სასწავლებლის პედაგოგმა მანანა მესხმა მონაწილეობა მიიღო ალექსი მაჭავარიანის სახელობის საიუბილეო ფესტივალის სამეცნიერო კონფერენციაში და დაჯილდოვდა აქტიური და წარმატებული მონაწილეობისათვის, აგრეთვე დაჯილდოვდა სსიპ ვ.ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელი აქტიური და წარმატებული მონაწილეობისათვის.

**20, 21 მაისი 2023 წელი**

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი.
ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელის გამოსაშვები საღამო ორ მოქმედებად საკონცერტო პროგრამა და პრემიერა "ჩხიკვთა ქორწილი."
მუსიკა: ზურაბ ნადარეიშვილი
დამდგმელი ქორეოგრაფი: ალექსეი ფადეეჩევი
დამდგმელი ქორეოგრაფის ასისტენტები: ქეთი მოწონელიძე, ტატიანა როსტარგუევა
მხატვარი: ანა მგალობლიშვილი
სასწავლებლის სამხატვრო ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი
სპექტაკლი გაიმართა საქართველოს კულტურის,სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერითა და დაფინანსებით
მონაწილეობდნენ:
სასწავლებლის მოსამზადებელი ჯგუფის - I, II, III და IV კლასის მოსწავლეები
და სწავლების -I, II, III , IV, V, VI, VII, VIII წლის მოსწავლეები

**29 მაისი 2023 წელი**

The Biltmore Hotel Tbilisi! theglossymag! სასწავლებლის მოსწავლეებმა ჟურნალ Glossyის ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა!
მონაწილეობდნენ სასწავლებლის სწავლების III და IV წლის მოსწავლეები.

**14 ივნისი 2023 წელი**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა!
სასწავლებლის მოსწავლეები მონაწილეობას ღებულობდნენ, საქართველოს სინოლოგთა ასოციაციის წიგნის წარდგენაზე "ჩინეთის ისტორია"
მონაწილეობდნენ სასწავლებლის სწავლების VI, VII წლის მოსწავლეები.

**17 ივნისი 2023 წელი**

ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელი. ბალეტის მოყვარულთა საზოგადოებამ სასწავლებლის მოსწავლეები დააჯილდოვა სიგელებით და სტიპენდიებით.

**28 ივნისი 2023 წელი**

თბილისის ოპერისა და ბალეტის საბალეტო დასის, ფესტივალის გახსნა! სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ სასწავლებლის მოსწავლეები!

**30 ივნისი 2023 წელი**

ცეკვის დღესასწაული, დიდი ზეიმი - თბილისის ბალეტის ფესტივალის მეორე დღე! "დონ კიხოტში" მთავარი პარტიები იცეკვეს წამყვანმა სოლისტმა ნინო სამადაშვილმა და ჰოლანდიის ნაციონალური ბალეტის სოლისტმა გიორგი ფოცხიშვილმა. სადაც მონაწილეობა მიიღეს ჩვენი სასწავლებლის მოსწავლეებმაც!

**1 ივლისი 2023 წელი**

თბილისის ბალეტის ფესტივალის პროგრამის ფარგლებში "ფილადელფია ბალეტის" სამხატვრო ხელმძღვანელი ანხელ კორელა და ცნობილი ქართველი ბალერინა ელენე გლურჯიძე ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის მოსწავლეებს შეხვდნენ. ანხელ კორელა და "ფილადელფია ბალეტის" სოლისტები თბილისის ბალეტის ფესტივალის გალა-კონცერტში მონაწილეობისთვის იმყოფებოდნენ. მათი ვიზიტი აშშ საელჩოს მხარდაშერით განხორციელდა.

**3 - 9 ივლისი 2023 წელი**

იტალია ქალაქი მესაგნე, საერთაშორისო საბალეტო კონკურსი "იტალიის ტალანტები."

ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის მოსწავლეებმა, იტალიაში ქალაქი მესაგნეში, საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე, "იტალიის ტალანტები" წარმატებით იასპარეზეს!

1. კლასიკურ ვარიაციაში მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი, აგრეთვე თანამედროვე ცეკვაში პირველი ადგილი და ოქროს მედალი დაიმსახურა - მარი ყულიჯანიშვილმა.
2. თანამედროვე ცეკვაში მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა - მეგი გელაშვილმა
3. მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი ჯგუფურ ცეკვაში "რლეკინადა" დაიმსახურეს - ვიქტორია ჯიქიამ, ელენე მჭედლიძემ და მარიამ თოდუამ.
4. მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი ჯგუფურ ცეკვაში "ლაზური" დაიმსახურეს - თამარ უსუფაშვილმა, თეკლა რუსიშვილმა, თეა გადაბაძემ.

**15, 16 ივლისი 2023 წელი**

**WORLD BALLET GRAND PRIX NORWAY 2023**

საერთაშორისო საბალეტო კონკურსი და ონლაინ დაჯილდოვება.
ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის მოსწავლეებმა, მსოფლიო ბალეტის გრანპრი WBGP ნორვეგია 2023 - ის საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე დიდი წარმატებით იასპარეზეს!

1. კლასიკურ ვარიაციაში და თანამედროვე ცეკვაში პირველი ადგილი და ოქროს მედალი დაიმსახურა - მარი ყულიჯანიშვილმა.

2. კლასიკურ ვარიაციაში პირველი ადგილი და ოქროს მედალი დაიმსახურა - ნანა თაბაგარმა
3. კლასიკურ ვარიაციაში პირველი ადგილი და ოქროს მედალი დაიმსახურა - ნინა თავდგირიძემ
4. კლასიკურ ვარიაციაში პირველი ადგილი და ოქროს მედალი დაიმსახურა - ანა დათუნაშვილმა
5. კლასიკურ ვარიაციაში მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი დაიმსახურა - სალომე იარაჯულმა
6. კლასიკურ ვარიაციაში მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი დაიმსახურა - ნინო საგინაძემ
7. კლასიკურ ვარიაციაში მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი დაიმსახურა - დავით ნაკაშიძემ
8. კლასიკურ ვარიაციაში მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა - აკაკი ჯავახიშვილმა
9. პირველი ადგილი და ოქროს მედალი ჯგუფურ ცეკვაში ,, განდაგანა“ დაიმსახურეს: ა.დათუნაშვილმა, ს.იარაჯულმა, მ.გულიტაშვილმა, თ.გრიგოლაშვილმა.

განსაკუთრებული მადლობა ჩვენს სამხატვრო ხელმძღვანელს ქალბატონ ნინო ანანიაშვილს გაწეული შრომისთვის და მხარდაჭერისთვის

**23 სექტემბერი 2023 წელი**

ქალბატონ ნინო ანანიაშვილის ინიციატივით,საბალეტო სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული მოცეკვავე, არგენტინელი ხულიო ბოკა, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ცისფერ დარბაზში, შეხვდა საბალეტო დასის სოლისტებსა და ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის მოსწავლეებს. გაიმართა ლექცია-სემინარი.
მონაწილეობდნენ სასწავლებლის სწავლების -მე- IV, V, VI, VII, VIII წლის მოსწავლეები

**27, 28, 29, 30 სექტემბერი - 1 ოქტომბერი 2023 წელი**

თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი. ბალეტი "გედების ტბა". მონაწილეობდნენ სასწავლებლის სწავლების მე- 7, 8 წლის მოსწავლეები.

28, 29, 31 ოქტომბერი 2023 წელი

თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი. ბალეტი "დონ კიხოტი".

მონაწილეობდნენ სასწავლებლის სწავლების მე- 3, 4 ,7, 8 წლის მოსწავლეები.

14, 15, 17, 18,19 ნოემბერი 2023 წელი

თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი.
პრემიერა ბალეტი „ ბაიადერა “.

მონაწილეობდნენ სასწავლებლის სწავლების მე - 7, 8 წლის მოსწავლეები.

29-30 ნოემბერი 2023 წელი



თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზი (ფილარმონია)
ანრი ჯოხაძის სოლო კონცერტი.
მონაწილეობდნენ სასწავლებლის სწავლების მე-4, 6, 7 წლის მოსწავლეები

2 დეკემბერი 2023 წელი

სასწავლებლის მოსწავლეები სტუმრად თბილისის ბრიტანულ საერთაშორისო სკოლაში.
მონაწილეობდნენ სასწავლებლის სწავლების მე-4, 6, 7 წლის მოსწავლეები